

572
1979

ISSN 0132-5965



1979 ԱՅԹՅՆՆԵՐՈՒՄ

ԲՄՍՍ



ხვალ პიკვედი სექვემბერია

მანანა ავალიშვილი

ნახატი ელზარე აგოკაძისა

გაავდრდა. ცის ვეება თვალი წვიმის წმინდა ცრემლით აივსო და გაფოთილ მიღამოს ახლად აბიბინებულ ლაწვებზე დაეფინა.

ფოთლებშუა წითელი ბღები კრიალებდნენ. თავ-ალერირი კრუნხი წიაჭით ეფოფრებოდა წიწი-ღებს. ღამაზი ყვინჩიდა ამაყად დადიოდა წვიმა-ში და ამაოდ აცეცხლებდა თვალებს. ბებერი მა-

მადი, მრავად ქორთან ნაომარი, დაკორძილ ფე-ხებზე იდგა და ყვინჩილას დანახვაზე უსიამო გრძნობა უხერხავდა გულს.

— ჩემს ახოვანას ვენაცვალე, არ ეშინია წვი-მის!— გაიძახოდა აივანზე მდგარი ჯურხა.

ახოვანა იმ ღამაზ ყვინჩილას დაარქვა ბიჭმა, თავალერირი, მედიღური სიარულისათვის.

ქადილით მოვარდნილი წვიმის თქეში უმაღვე

შეწყდა და ხეობიდან წვიმის ორთქლით დამძიმებული ნისლები გაფრინდნენ მაღლა, მაღლა.

— ერთი ზიკბიკა ხმადილა აკლია შენს ახლავანას და მამღობასაც დაიკვებნის, — ოცინოდა ბაბუა და სიყვარულით შესცქეროდა წამოყვინჩილებულ ბიჭს.

ბინისას ბრუციანი სტუმარი ეახლებოდა ჯურხას, ფერად-ფერადი, სიზმრებით სავსე ხურჯინით ხელში. ამოფრინებულა ხურჯინიდან ახლავანა, ბავშვს თვალწინ გადაეშლებოდა ნამშებერტყილი ხეხილი, მოდივრივე ყანები, ფეხშიშველა ბიჭები, ბაღში გახვეული კაღმახი და მშვიდი ძილი მტრედივით ჩამოჯდებოდა თავსას-თუმალთან. თენდებოდა და ისევ გამაცოცხლებელი, შემღებებელი განწყობილებმა სუფევდა ირგვლივ.

სახურაგზე ასულ ბაბუას ბღის ტოტი მოეწია და კადათს ავსებდა დაბაბა კუნწულებით. ჯურხა ყვდავფერი ეხვეწებოდა, მეც ამოვად მანე, მეც დავერდი ბაღსო. შიშნარევი გაბეღულებით მოიტოვო უკან ხუთიოდე საფეხური. ეზოს გადმოხედა, დაინახა, რომ ედამიწის ჰრედი ხალიჩა ნელ-ნელა შორდებოდა და გაიფიქრა, აბაბათ ჩიტებს როგორ უხანიათ მაღლა ფრენაო. ფეხი დაადგა სახურავს, ხელი გაუწვივინა ღიმილგახედვილ ბებებს, მიმოიხედა აქეთ-იქით და აღტაცების ხმა აღმოხდა:

- რა კარგია, ყველაფერს ვხედავ!
- მოიცა, ბიჭო, არ დავარდე.
- რა დიდი ვარ, ხაღბო!.. — გაჰყვიროდა ბიჭი და მისი ხმა ყრუანტედივით უვლიდა ჰაერს.

დაბდა რომ ჩამოვიდა, ყველაფერი უტვლიდად დახვდა: ეზო, ძაღლი, ახლავანა. ბიჭს მოუჩვენა, რომ აქაქრობა ძილბურანში გახვეულიყო და არაფერი ეყურებოდა. ქვაზე შესკუპული წიწილა წიოდა.

ბიდიკზე გაწოლილ ძაღლს მშერა მისკენ მიექცია და დასიცხული მძიმე ქვადგა. ჯურხამ მწყარადად გახვდა წიწილას. სახურავიდან წამოყოლილი აღტაცება მიინავდა და ბიჭმა აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს მშვედელს ეძებსო. მერე აივანზე ავიდა და ოთახის კარი შეაღო.

ოთახში ახლამორეცხილი იატაკი, სიგრილე და სიმყუდროვე დახვდა. რაღიოდან მინარეხავით ღალად მოედინებოდა ხმა:

„საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც“. ჯურხას თვადილი აუჯამამადა და ახლოს მიიწია რადიოსთან.

„აქ ავიდვი მე ფეხი, აქ ამოვიდვი ენა და აქედან იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიგვია ისედად გადახურული ხის სახლი“...

ჯურხას რალაც დიდი გრძობა ბოჭუავა, მკერდთან აწებებოდა. ბიჭს უნდოდა ეთქვა, რომ ძალიან უყვარს სახლი, ეგა, მამა, თავისი სოფელი და ის სიტყვები რადიოდან რომ გაემოდიოდა, სახლიკაცივით მფარველი და ახლობელი, სიტყვები, სული რომ შეუგუბა და კინაღამ აატირა შვიდი წლის ბიჭი...

მაღე სექტემბერიც მოახლოვდა, აღმებისა და ყურძნის სურნეღმა გააბრუა არემარე. თაფლისფრად, წითლად, მგელსფრად აღალანდა ირგვლივ ყველაფერი.

მამამ ჯურხას სასწავლო ნივთები უყიდა: წიგნების ჩანთა, ფერადი ფანქრები, რვეულები და კადმისტრები. მერე მაგიდაზე ერთი რალაც საკვირველი რამ დადგა და გახანრებულ ბიჭს განცვიფრებისაგან თვალები ერთიორად გაუფართოვდა: თავიდა ჰრედი ბურთი ცად ფეხზე იდგა და ხელს თუ წაკრავდა, ტრიანდებდა.

- ეს ედამიწია, — თქვა მამამ.
- რას ამბობ, ედამიწია ასე პატარა და მრგვალი?

- მამამ გაიცინა.
- აი, მთელი მსოფლიო თვალწინ თვდისა.
- ჩემი სოფელი სადღაა?
- ესაა შენი ქვეყანა და შენი სოფელიც, — თითი დააღო მამამ პაწაწინტელა ადგილს.

— ვაი, რა პატარა ყოფილი! არა, ტყუილია. მარტო სავანეა ამ ბურთზე უთვალავჯერ დიდი, ახლა თბილისი! — გაკვირვებულს აღარ იცოდა რა ექნა, მერე დაფიქრა და ერთბაშად წამოიძახა: — რომ გაგზარდო!

მამამ გულიანად გადაიხანჩანა, სული ძლივს მოითქვა და უთხრა:

- შენისთანა ბევრი ჯურხა, ბევრი თამარი თუ ყყოლები, გაიბრეგება, აბა, რა.
- ჯურხა ეჭვიანად შეაქქვდა მამას.
- აბა, ახლა ხელ-პირი დაიბანე და დაიძინე, ხვალ პირველი სექტემბერია!



ჩვენი წელიწადი

ლადო სულაგერიძე

წიგვანდელი წელიწადი
 ჩვენი წელიწადია.
 წელს სამშობლოს გახარება
 უფრო მეტად გვწადია.
 გავახაროთ დედა, მამა,
 ბაბუა და ბებიია.
 ჩიტები და ყვავილები
 მზეში გვეგებებიან.
 ზეცა მუდამ კრილებდეს
 საჩემოდ და საშენოდ.
 მერე, როცა გავიზრდებით,
 ვაშენოთ და ვაშენოთ.
 დე, მსოფლიოს ბავშვთა გულებს
 მზე ათბობდეს კაშკაშა.
 ჩვენს დაშქარსაც გაუმარჯოს,
 სხვა ბავშვების დაშქარსაც.



ირბას სურვილი

კ. გოგიაშვილი

გადაყვითღა მთა-ბარი—
დღემდე ღურჯი ფერის,
სკოლის ბარი მქაზნის,
დადგა სექტემბერი.
სკოლის ფორმას მაზომებს
ტკბილი ბებო ჩემი
და თან შეაღერსება
დაკოყრილი ხელით.
ბაბუს ფულს ვთხოვ, რა მოხდა,
სულ არ მინდა ბევრი,
მინდა ბებოს ვუყვიღო—
ნაყინი და კევი.



ნახატი მანანა მორჩილაძისა



საბავშვო გალუბი მივრიპაკ

წოლარ ზამანაძე

ივლისი მიიწურება
ზურის და ქერის კეპში;
აკვისტო უურძენს დაატეობს,
ცაღ წიფობელებს აშლის;
სექტემბრის დილა ინათებს
და გავასარებ შაშინ,
ოცნება ამისრულდება,
წაჯად საბავშვო ბაღში.
ჩემს ტოლ ემაწვილებს გავიცნობ,
ძვევებიბრები თვლამი,
სირბილში, ბურთაობაში,
სატკაში, ლექსის თქმაში...

ნუნუ ლალიძე



სექტემბერი დადგა, სოფელში ყველამ სართელოდ დაიწყო მზადება. პაპა შიოც აფუსფუსდა: მარანში ორ მოზრდილ ქოცოს გადაჰხადა, სარქველები იქვე კედელზე მიაყუდა, ქოცოებში წყალი ჩაასხა, სარცხი მოიზარჯვა და რეცხვა დაიწყო. ქუაბ, ქუაბ, ქუაბ, ქუაბ, ახმაურდა წყალი. პაპა შიოს მარჯვედ გადაჰქონდა სარცხი ხელიდან ხელში, კარგახანს რეცხა, მერე ნარეცხი წყლის ამოღება დაიწყო.

— ჰე, ჰე, ჰე... რა ტალახივით წყალი ამოდის, აკო!

პაპა შიომ ქვევრებში ხელახლა ჩაასხა სუფთა წყალი და კვლავ აამუშავა სარცხი. იმდენი რეცხა და ხეხა, დაიღალა, გაიოფლა.

— დაისვენე პატარა ხანს, აღამიანო, — უთხრა ბებია დარომ.

პაპა შიომ ხის მოგარძო სკამზე ჩაიმუხლა, ბებიაც გვერდით მიუჯდა.

— აღბათ ახლა გზაში არიან, — თქვა პაპამ.

შვილიშვილებს ელოდა თბილისიდან, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩამოვიდოდნენ.

— გზაში კი არა, იქნებ კიშკართანაც არიან მოსულები, — თქვა დარომ და მანქანის ხმაც გაისმა.

დარო წამოდგა და გარეთ გავიდა. ამასობაში მანქანამ შეორედ მისცა ნიშანი. დარო კიშკრისაკენ გაეშურა. კარს მანქანა მოსდგომოდა.

— რომელი ხარ, შვილო? — თქვა და კიშკარი გამოალო.

— ბები, ბები! — დაძახეს ბავშვებმა და მანქანიდან გამოხტნენ.

— უი, თქვენ კი გენაცვალოთ ბებია! აჰა, აკი ვთქვი, კიშკართან იქნებიან-მეთქი, გულმა მიგრძნო, — თავისთვის ლაპარაკობდა ბებია და თან შვილიშვილებს იხუტებდა გულში.

— მამა სადღაა?

— მამას არ ეცალა და აი, ამ ძიას გამოგვაყოლა, — ბავშვებმა მძლოლზე მიუთითეს.

დარომ ახალა დაინახა, მანქანის საჭესთან ახალგაზრდა იჯდა, რომელიც მოხუცს მიესალმა და მანქანაც მაშინვე დაძრა.

— რა უცებ წავიდა ის გვასახარელი, მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი! — დანანებით თქვა დარომ და ისევ ბავშვებს მიუბრუნდა.

ხმაურზე პაპა შიოც გამოვიდა.

ბავშვებმა დინახეს თუ არა პაპა, ბებიას მოეშე-
ნენ და ახლა მას მისცივდნენ.

— თქვენ გინაცვილეთ, ყურძნის მწურავები მომსე-
ლია!—სიხარულით ამბობდა პაპა და თან ბავშვებს
ფერებობდა, მერე ხელიხელგადახვეულები მარანში
შევიდნენ.

ზურკომ და ნუგზარმა მაშინვე ქვევრებში დაიწ-
ყეს კეჭეტი, სარკესაც წაეპოტინენ და წყალს ჭყა-
პუნჩ აუტახეს.

პაპა შიომ ბავშვებს სარკნი გამოართვა და რეცხ-
ვა განაგრძო.

— კარგი, კაცო, ეყოფა რეცხვა,—უთხრა ბებია
ღარომ.

— ენახოთ თუ ეყოფა,—თქვა პაპამ და ნარეცხი
წყალი მუქში ჩაივება, წყალი სარკესათვის კრილა
იყო; დაყნოსა კიდევ.

— ეყოფაო,—დაასვენა თავისთვის; სარკნი ამოი-
ლო, დაწრიტა და კედელზე მიაყუდა.

ყველანი ოთახში შევიდნენ.

მეორე დღით რთველი დაიწყეს და მზიურ
მორჩნენ.

— ქოცოები საღულზე თუ მოვიყვანეთ, კარგი
იქნება,—გადაულაპარაკა პაპამ იქვე მოფუსფუსე
ბებიას.

— საღულზე მოყვანა რა არის, პაპა?—შეეკითხა
ნუგზარმა.

— დაწურული ყურძენი ადუღებისას რომ არ
გადმოვიდეს, ქვევრს პირამდე არ ავსებენ. რის ზე-
ვითაც აღარ შეიძლება ქვევრში ტუბილის ჩასხმა,
საღულზე მოყვანა ჰქვია,—აუხსნა პაპამ ნუგზარს.

— ქოცო რაღაა?—იკითხა ზურკომ.

— ქოცო პატარა ქვევრია, რამდენიმე ვერსო
იტევს.

პაპამ ყურძენი სულ შემოზიდა მარანში. ბებიამ
ქოცოებთან გარეცხილი ვარკლი დადგა, მერე ყურ-
ძენი ვარკლში ჩაყარეს. ნუგზარი და ზურკო ცნო-
ბისმოყვარეობით უყურებდნენ უფროსების საქმი-
ანობას.

— ყურძენი თქვენ უნდა დაწუროთ,—უთხრა
პაპამ ბავშვებს.

ნუგზარმა და ზურკომ ერთმანეთს გადახედეს,
გაეღიმათ.

— როგორ? — თითქმის ერთდროულად იკითხა
ორივემ.

— აბა, ჯერ ფეხები დაიბანეთ!—ბრძანა პაპამ.

ბებიამ თბილი წყალი, საპონი და ტაშტი მოამ-
ზადა. ზურკომ და ნუგზარმა ფეხები გაიკრიალეს.

— ახლა ჩაღეჭეთ ვარკლში და გაიარ-გამოი-
არეთ... მაგრად, მაგრად, აი, ეგრე, ძველად ყურძენს
ეგრე ვწურავდით საწნახელში.

— საწნახელი რაღაა?—გაუკვირდათ ბიჭებს.

— საწნახელი დიდი ნავია, ხისა ან ცემენტის,
შიგ ვყრიდით რამდენიმე ურემ ყურძენს და აი,
ეგრე ვწურავდით.

— მერე იმდენი წვენი სად მიდიოდა?

— დიდ ქვევრში ჩადიოდა ღარით. ახლა კი ამ
ხაპირით ქოცოებში ჩავსხამ.

ბავშვებმა დაკვირვებით შეათვალიერეს რკინის
ხელსაწყო, რომელიც პაპას ეჭირა. მერე ერთმანეთს
მხარზე ხელი გადახვიეს და უფრო მეტის ხალისით
დაიწყეს ვარკლში ყურძნის ჭყლეტა.





შალვა შორაჩიძე

სიმინდს ტეხენ, გარეშემო
ღვივის უცხო ფერები,
გადაყვითლდნენ ღელის პირას
მწვანე ანწლის ღერები.
აქეთ-იქით ერთიანად
გადაყვითლდნენ ყანები,
სიმინდს ტეხენ, ნასაყდრაღზე
ყრანტაღებენ ყვავები...
მოკრიაღე ურმების
აღარ არის ტევა,
ჭაღებიდან ისმის
ტაროების მტვრევა.
ნასაყდრაღზე მოწყენილი
აბუზულან ფიჭვები...
მთვარიანში, ჩაღიანში
ჩაღას კრიან ბიჭვები...
სიმინდს ტეხენ, ახმაურდნენ
ჩვენი ჭაღის ყანები,
მიყრუებულ ნასაყდრაღზე
ყრანტაღებენ ყვავები...





კურდღელი და ტურა

ვალერიან მოსაშვილი

ნახატი ვაჟა გელაშვილისა

ტყეში ერთი ცანცალა კურდღელი ცხოვრობდა. გააჩნდა ბაჭებს და თქვენს მტერს, რაც იმას ემართებოდა: სტაფილოს საშოვნელად გასულს, სოროში არცერთი აღარ დახვდებოდა ხოლმე.

საბრალო კურდღელმა გადაწყვიტა—ბინა გამოეცვალა. გამოთხარა ახალი სორო და ისეთი ვიწრო შესასვლელი დაუტოვა, თვითონაც ძლივს შეძვრებოდა ხოლმე.

იმ სოროს საიდუმლო გასასვლელიც გაუკეთა და ბალახებით ამოტენა. ცხოვრობდა თავისთვის არხეინად და ხარობდა წამოზრდილ შვილებში.

ერთხელ, საშოვარზე გარეთ გამოსულს, მოულოდნელად თავს ტურა წაადგა:

— აი, შე ბაცაცავ, შენა! ვიწრო სორო გამოთხარე, ჩემს შვილებს ვედარავინ ვერაფერი დააკლოსო, არა? ახლა შვილების სანაცვლოდ, შენ უნდა შეგხანსლო!

კურდღელმა აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— შენ იყავი, ჩემს შვილებს რომ ჰამდი?
— დაიბ, მე გახლდი!

— მე საცოდავს მეგონა, რომ ის უღირსი კვერნა მიჰამდა. წამობრძანდი სოროში, მატარა ბაჭიები მყავს, მე ხომ ვედარხად გაგმქეცივი და ბარემ ისინიც შექამე, უჩემოდ, მაინც შიმშილი დახოცავთ.

კურდღელმა ტურა სოროსთან მიიყვანა და უთხრა:

— აქ მომიცადე და ბაჭიებსაც ახლავე გამოიყვან.

შემგრა კურდღელი სოროში და მეორე გასასვლელით თავის შვილებიანად თავს უშველა. მაღალი მთის წვერზე ასულები გულდაგულ უყურებდნენ სოროს წინ დასკუპებულ ტურას და სიცილით იგუდებოდნენ.

ტურა კი, რაც დრო ვადიდა, სიბრაზისაგან უფრო მეტად იღესავდა კბილებს:

— შენ გგონია მომწყინდება და წავალ? შენმა თავის განთქამ! შენი ჯობრით დღე და ღამე აქ ვიქნები და, ვიდრე არ გამობრძანდები, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი და, ბოლოს, ლოდინითა და შიმშილით გაწამებულმა ტურამ იფიქრა:—კურდღელი ამდენხანს შიმშილს ვერ გაუძლებდა, ერთი უნდა გავიგო, რაშია საქმეო. — შემოუარა სოროს და მეორე გასასვლელი რომ ნახა, გაბრაზებულმა თავში წაიშინა თათები:

— ვიმიე, ამასაც მოვესწარი, უტყინო კურდღლის სისაცილოც გავხდიო!—დამშეულმა ერთი გულშემზარავად შეჰკივლა და ბუჩქნარებისკენ უიშეოდ გასწია.

გუგის ბიჭი


ოთარ ზელიძე

იმ ხალამოს ბავშვმა
გვიან მოიცალა,
რომ შეუდგა ვახშამს,
ძილი მოეძალა.
ახლა უურს უგდებდა
ბიჭი ფერმიმკრთალი—
როგორ თუხთუხებდა
ქეთლში ცხელი წყალი.
ჩხუბში დაკარგული
გამჭვირვალე ცხვირით
იწვა დაქანცული
წელანდელი გმირი.
— პირს საბანში მალავს,
ჩაის როგორ დაღვებს?..

უკვე სძინავს ალბათ
ხელპირდაუბანელს,—
თქვა და მამამ ბოლოს
გახსნა შვილის ჩანთა.
ბიჭს საბნიდან მხოლოდ
თმები მოუჩანდა.
თბილ ლოგინში ჩგავდა
სახეს დაუბანელს,
მშობლებს უმაღავდა
ჩია ბიჭი თვალებს.
მამა იქვე იდგა,
იკვებდა სიცილს,
თან ჩანთიდან ურიადა
პურს, ძეხვს, შემწვარ წიწილს.
კაცი გულკეთილი
ღედას დანახვებს:
— ხედავ, ჩვენი შვილი
როგორ უვლის ძაღლებს?

მამა თმაქალარა
უმზერს ბავშვის საწოლს
და რაც გადმოუარა,
კვლავ ჩანთაში აწყობს.
იგი გაიხუმრებს:
— რომ ველოდეთ სტუმრებს,
ბიჭი გვაქმევს სირცხვილს,
ძაღლებს— შემწვარ წიწილს.—
წუხბა ბავშვის ღედა:
— სახე უვავს შუშას...
მამა ამშვიდებდა:
— ნუ სჭამს, არაუშავს...
დარჩეს ერთი ციკუნა,
ევრე ტანად ჩია,
ან ღიეტას იცავს,
ანდა არა შია.
როგორ დავივიწყო,
მახსოვს, ბავშვობაში,





ჩვენს სოფელში იყო ერთი დონდლო ბავშვი... დიდი პირის გარდა— კქონდა დიდი მადა, სახლში რაც ებადა, ხულმთლად გაუთავდა. თუ აქმევედნენ, მაშინ თქველფდა სამი ჯამით, ბავშვს გაუსკდა ფაშვი და გათავდა ჳამით. რად აძალეზ მავდენს ამ ბიჭს? არა უშავს, დე, გამხდარი გავდენს გამქვირვალე შუშას. დედდა წუხს და ოხრავს: — შვილს ვინა კლავს ძალით? კაცო, ხვალვე მოხვალ პაქკორიას წამლით.—

ძილს უფრთხოზობდა მიხოს მათი საუბარი: სხვა ვინ უავდა მიხოს მათზე სანუკვარი?.. გასჩხაოდა გარეთ აივანზე უვავი: — აჩრდილს დაემგვანე, ხარ ძვალი და ტუავი. გავხარ წუალს და მიწას ლაწვებგამქვირვალე, წვიმას, ცას და ნიავს შეუერთდი მალე!..— ხვადი ლომის ჯანით ბუხუნებდა ლამე: — ეგებ სიზმრად მაინც გადახანსლო რამე!— ძილშიც თავისთავად საუბროზობდა მიხო:

„ნეტავ ახლა მართლა შუშის ბავშვი ვიყო; მაშინ რალა მიჭირს, ცაში გავშლი მხარ-მკლავს, გამქვირვალე ბიჭი ვანახავ უვლა ვარსკვლავს, ვესტუმრები მარეხს, ასპიროზს და ზუალს, მშობლებს გადმოვძახებ: მორჩით ჩემზე ზრუნვას!“ ბავშვი ველარ მალავს შემოწოლილ სევდას: „რად ვაწვალეზ მამას, რად ვაწვალეზ დედას?.. რამ შემიკრა კრიკა, რად მაქვს ჳამის შიში?— თქვა და შუშის ბიჭად იქვა მიხო ძილში.“

შოშიაზი ავტობუს- ის ბაჩიკაზაზი

ქარლო კოზაჩიძე

თბილისში, იმ შენობის წინ, მე რომ ვცხოვრობ, მოზრდილი მოედანია—ავტობუსის ბოლო გაჩერება. ერთ მხარეს შეფერდება, მეორე მხარეს—მინდორი. რაკი ბოლო გაჩერებაა, ხშირად ათობით ავტობუსი მოიყრის ხოლმე თავს, ხალხისა და მანქანების ხმაური ერთმანეთში ირვევა. ასეა ყოველდღე. ამ მოედნის გარშემო ბეტონის მაღალი ბოძებია ჩასობილი, ბოძების წვეროვებზე კი ნეონის ნათურებია დამაგრებული. ნათურებს ზემოდან თუნუქი აქვს ვადაკრული, ქვემოდან—მინა, რა არის და, წვიმა არ ჩავიდესო. რალა ჩემი გესწავლებათ: ნათურა რომ ანთია, ცხელდება, ვაცხელებულ ნათურას, ერთი ცნახოთ, წვიმის წვეთი მოხვდა, მაშინვე გასკდება. არ გასკდება და, ვადაიწვება მაინც. გინდ გამსკდარა და გინდ—ვადამწვარა, რა განსხვავებაა, ორივე შემთხვევაში აღარ აინთება და მთავარიც ეს არის.

ის ნეონის ნათურები, დამე ავტობუსის ბოლო გაჩერებას რომ აშუქებს და ჩემი უბნის ქუჩებსაც, ერთნაირია: შორიდან ვახედავ და ნემსიყლაპია გვეგონება, ოღონდ, თავი არა აქვს.

არ ვიცი როგორ მოხდა და რანაირად, ერთი ნათურის დამცველი მინის წვერო ჩამტვრა, მაგრამ შიგნითა ნეონის მილები არ დაზიანებულა და განათებითაც ისევ ანათებდა. ეს ნათურა პირდაპირ თავზე ადგას მოედნის იმ კუთხეს, ავტობუსს რომ მიაყენებენ ხოლმე და მგზავრების ასვლა-ჩამოსვლა იწყება, ამიტომ იქ ხმაურიც მეტია.

ეს მეოთხე წელია—მთელი ჩვენი უბანი ხედავს: ნეონის ჩამტვრეულ ნათურაში შოშიას აქვს ბუდე.

— ვერ უყურებ, ადამიანო, შოშიებიც ქალაქს არ ეტანებიან?!—ვაიოცა ჩემმა მეზობელმა, ვეა ბებია, —ამ მტვერსა და ხმაურს ვითომ ტყე არა სჯობია? მწვანე ტყე, ჩუხჩუხა წყარო, ფოთლებში ატკეიტებული ნია-



ვი, ნაირ-ნაირი ყვავილით ამღვრებული მიწ-
ლორი, ლურჯად ამღვრებული ცა!.. მართა-
ლი გითხარათ, არ ვიცი, რა ნახეს მტკვერ-
სა და ხმურში... როგორ დავიჯერო, ამ დაღ-
ვალულ, უწინათ ხეებსა და ბალახებულაში
უფრო მეტი ქიალუაა, ვიდრე იქ, იმ სიმშვე-
ნიერეში..

— შენ მაგათ ქეუას ვერ ასწავლი, — ეუბ-
ნება ვასო პაპა, — იქ, იმ სიმშვენიერეში შეიძ-
ლება მართლაც უკეთესია ყველაფერი, მაგ-
რამ იქ ალალიც ბრის, ქორიცა და მიმინოც...
ახლა, ერთი ეს მითხარი, აქ ან ალალი, ან
ქორი, ან მიმინო დაგინახავს?

ევა ბებია ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე
თქვა:

— ტყუილს ვერ ვიტყვი, თვალი არ მო-
მიკრავს, — თან თავიც გააქნია.

— მეც მაგას არ ვამბობ?.. იქ შურდულლია-
ნი ბიჭებიც არიან და ისეთი, ბოღში მომთხ-
სენებია, მონადირეებიც, ყველაფერს თოფს
რომ ესვრიან ხოლმე, რასაც კი გაფრენილს
წააწყდებიან... ზამთარში ყვავებიც ქალაქში
შემოდან, ყვავებიცა და, ხშირად — ჩხართე-
ბიც... იფრინეს, საიდან სად იფრინეს, მთელი
ქვეყანა მოიარეს და მიხვდნენ: ქალაქში
თოფს არ ესვრიან. ჰოდა, ისევ ის ურჩენიათ,
ცოტა უფრო შიოდეთ, ცოტა უფრო სციო-
დეთ, ოღონდ კი იცოცხლონ. შენ როგორ
ფიქრობ, გამტყუნებათ?

— მერე ვინ ამტყუნებს?

— თუ არ ამტყუნებ, რატომღა გიკვირს?

— აქამდე მიკვირდა.

— აი, აქ ბუღესაც ვერ მოუშლი. მაგ ბომ-
ზე ციყვი აცოცდება თუ კვრნა? აცოცებით
შეიძლება აცოცდნენ, მაგრამ საიდან მოვ-
ლენ?.. ბიჭები მიაყუდებენ კიბეს ბუღის მო-
საშლელად? მერე, ვინ მოაშლევინებს? ერთი
სიტყვით, ეტყობა, მშვენიერად გრძნობენ
თავს...

შარშანაც დაჩეკეს ბარტყები. დაჩეკეს
ბარტყები და დაიწყო კიდევ შოშიების გა-
წამაწია: როგორც კი ირიქრათება, ორივე —
დღაცა და მამაც საშოვარზე გამოდიოდნენ,
დაბინდებამდე მიჰქონდათ და მიჰქონდათ
ქიალუა.

სიბნელე რომ ჩამოდებოდა და ნეონის

ნათურებს ჩართავდნენ, ვხვდავდი: ნათურის
გვერდით, მავთულზე, ერთი შოშია იჯდა.
ალბათ, მამა შოშია, მერე კი — დედა შო-
შია, ბუღეში იყო, ბარტყებთან. ეტყობა,
ბარტყებიც ასე ყოფილან: ჯერ დედა უყვართ
და მერე მამა!

— ნეტა, რამდენი ბარტყი ჰყავთ? — იკით-
ხა ერთხელ ტაქსის მძღოლმა.

— სამი მანც ეყოლება, — თქვა ხიდების
ინჟინერმა.

— სამი რომ ჰყავდეთ, მაშინ ამდენი ჯაფა
არ დაადგებოდით, ოთხი მანც ეყოლებათ.

— არ შეიძლება გაუმძღვრები იყვნენ?

— არა მგონია.

— თუ არ გგონია, დაენიძლავდეთ.

— ეგრე იყოს, — თქვა ტაქსის მძღოლმა.

დანიძლავდნენ.

— ახლა საიდან რას გავიგებთ და, როცა
დააფრენენ, მაშინ დაეთვალეთ, — გაიღიმა
ხიდების ინჟინერმა. შოშიები რიყრათისას გა-
მდიოდნენ საშოვარზე. ერთ ღღეს ბალახიან
შეფერდებან იწყებდნენ ქიალუს ძებნას,
მერე ღღეს — ბალახიან მიწდორზე. არ მახ-
სოვს, ორ ღღეს ზეღიზედ ერთ ადგილას
ეკიკვივით ქიალუს საძებნელად, ანდა, ერთ
თი მხრიდან. ცოცხლად და ცქერტად, დაკ-
ვირვებით ათვალეირებდნენ მიწას. დაჯდ-
ბოდნენ თუ არა მიწაზე, თითქმის მაშინვე
ბუღისკენ მიფრინავდნენ ნადავლით. ბარ-
ტყები ქულოპინით ხვდებოდნენ.

მიწაზე რომ დაფრინდებოდნენ შოშიები,
თითქმის დაუძახესო, ბელურებიც მათთან გა-
ჩნდებოდნენ ხოლმე, ერთთავად უკან დას-
დევდნენ, მაგრამ შოშიები არასოდეს, არასო-
დეს არ უწყებოდნენ ბელურებს.

ერთ კვირა ღღესაც ვხვდავთ: ბარტყებთან
ერთ შოშიასლა მიაქვს ქიალუა. მთელი უბა-
ნი საგონებელში ჩავარდა, მერე შოშია
ალბათ მოკლესო. სწორედ მაშინ ვიღაც უც-
ხო ბიკი გამოჩნდა გახონებში, ხელში შურ-
დული ეჭირა. დაიანხა აზიხა მევხოვემ და
ფეხები დაუბაკუნა:

— წადი აქედან, თორემ, აი, ცოცხი!

მისი ტოლი ბიჭები დაედევნენ შურდუ-
ლის წასართმევად, მაგრამ ისე მოცოცხა, ქა-
რიც ვერ დაეწვოდა.



ვღვავართ და ვუყურებთ იმ ერთი შოშიის საცოდაობას, ჭიალუს უფრო ჩქარ-ჩქარა ეზიდება, ბარტყების გამოკვებას კი მაინც ვერ აუღის, ჭყლოპინით იკლებენ იქაურობას.

ალარ ვიცით, რა ვქნათ, რითი ვუშველოთ. ვიდრე მოშუადღევდებოდა, სულ შოშიის ბუღისკენ გვეჭირა თვალი, იქნებ გამოჩნდესო, რომ მოშუადღევდა, მარტო ის დაკარგული კი არა, მეორე შოშიაც დავინახეთ, ზღვის მხრიდან მოფრინავდნენ.

მოფრინდნენ და ბუღის გვერდით, მავთულზე დასხდნენ. ამ დროს ბუღიდან გამოვიდა დედა შოშია, ისიც მავთულზე დაჯდა, ახლა უკვე სამნი იყვნენ. ცოტა ხანს ასე ისხდნენ, მერე მამა შოშია ბუღიდან ახლადამოსულ დედა შოშიას კიკიკივით მიუახლოვდა და გაუბა ქღურტული. ერთბაშად დედა შოშია უცხო შოშიას მივარდა და გამეტებით ჩაუნისკარტა. ეს სცემს, ის კი გან-გან იწვევს. მამის მამა შოშია შუაში მოექცა და გაბრაზებულ დედა შოშიას, თან ექღურტულება, თან აწვევს, ჩასანისკარტებლად არ უშვებს.

კინაღამ მთელი საათი გაგრძელდა ჩხუბი. მერე ნელ-ნელა დამშვიდდნენ და ორნი ერთ მხარეს დაფრინდნენ მინდორზე, მესამე — საკმაოდ მოშორებით დაეშვა.

სულ ცოტა ხანი გავიდა და ბარტყებს უკვე სამი შოშია აქმევდა ჭიალუს.

ვღვავართ და გაცეცებულები ვუყურებთ.

— ეს რა მოვიხილევ, კაცო?! — ტაში შემოჰქრა ვასო პაპამ, — ამის შემდეგ მოდი და თქვი, ჩიტებს ჭკუა-გონება არ აქვთო!

— დაგიჯერებია, შეიღვების გამოკვება გაუქირდა, წავიდა, თავი შეაქოდა და დამხმარე არ მოიყვანა?! — უკვირს ვვა ბებიასაც.

— ეგე, მაღლიანი!

— რაღა არ ხდება ამ დალოცვილ წუთისოფელში!

შოშიებმა ისე დააფრინეს ბარტყები, სამსახურში იყვნენ და, ვერც ტაქსის მძღოლი დაესწრო, ვერც ხიდების ინჟინერი. ბავშვებმა თქვეს, ხუთი ჰყავდათო. დაუჯერეს. მაგრამ სანაძლეო აღარ გახსენებიათ.

ქართვის ღერე

შალვა შუბლაძე

როცა გულზე გვაწვა სევდა
და სიკვდილის ჰქროდა ქარი,
ხელში ვბყრა ქართვის ღერეს
ერის წმინდა კელაპტარი.
მე ვაღიღებ სხვაგვარ ნათლით,
მადლით მოსილ ქართვის ღერეს,
ვინც დამზრალი ერის ვაზი
გავვიცოცხლა, გავვინერღა.

მეც ავაყვავებ ბაბუნს

ბორის ბოგია

ინჟინერია მამა,
აგებს ფაბრიკებს, ქარხნებს,
ელსადგურებს და ხიდებს,
ოცსართულიან სახლებს.
მე სამი წლის ვარ მხოლოდ
და, როგორც ყველა ბავშვი,
ხვალ-ზეგ, სექტემბრის დილას,
წაველ საბავშვო ბაღში...
მერე გავხდები დიდი,
სკოლაშიც ვივლი მერე...
მეც ავაყვავებ მამულს,
იმის მთებსა და ველებს...





პაპაკა მწყემსის გმირობა

მიხეილ ტიგანაილი

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

ეს ამბავი ამ ორასი წლის წინ მომხდარა — შირაკში. შემოდგომის წუნარი, გრილი სიღამო ეოფილა. ჰატარა ბიჭი თურმე ცხვარს ამოვებდა. ბუნების სიმშვენიერთ დამტკბარი მწყემსი ჯირკსე ჩამომჯდარიყო და სალამურს აკუნესებდა. ბინდი ნელ-ნელა მატკულობდა. ბიჭმა სალამური ჯიბეში ჩაიდო და კომბალი მოიმარჯვა, ცხვარი ფარეხისკენ გაირეკა. ერთბაშად ცხენთა თქარათქური მოესმა, ვიდრე გაერეკოდა საიდან იყო, იქვე — შორიანლოს ჰატარა, თმა-

გაწეწილი, შეშინებული გოგონა დალანდა.

— მიშველე, ურჯულეობი მომდევენ! — შესთხოვა გოგონამ.

რა უნდა ედონა თითისხელა მწყემსს? კომბლით ვერაფერს გახდებოდა. იარაღიც რომ ჰქონდეს, რას დააკლებს ამხედრებულ მომხდურს? თან — არც ფიქრის დროა. თვითონაც ვერ იტყვის თოგორ მოიანზრე: უცებ გოგონას ხელი სტაცა და შუაგულ ფარში, ვეება ჭედილას ქვეშ დაძალა. მალე მომხდურებიც მოცვიდნენ.



— აქეთ ერთი გოგო გამოგვუქცია, ხომ არ დაგინახია!— დაუღრიადეს მწვემს.

— არ დამინახავს, ამ მებინდებისას გოგოს რა უნდა აქ.

— არ დაგინახავს და აი, შენ!— ბოხთხისქედანმა მხედარმა ბიჭს გამეტებით გადაარტყა მთრახვი.

— ნუ სცემ!— შეუტია ბოხთხისქედანს რახმის ბელადმა და ზატარა მწვემს მსახურული დაევაგებით, დიმილით ჰკითხა:— სნადა გაქვთ ფარები, ღამის განათევი? თქვენი მწვემები ჩემი ამხანაგები არიან, უნდა ვესტუმრო.

ბიჭი მაძინვე მიხვდა, რაც განეზრახა ურჯულოთ ბანდას. თვალწინ დაუდგა ვადამწვარ-გადანბუკული ბინები, დასოცილი მწვემები, გატაცებული ცხვარ-ძროხა.

— არ ვიცო, — თქვა ბიჭმა და იქვე ძღვარ კბილბასრ ჯაფრიანს გადახედა.

— ნებით არ იტყვი და ძალით გათქმე ვინებთ!— დაიღრიალა ერთმა ჩოფურმა მოძალადემ, ცხენიდან ჩამოხტა და ბიჭს ეცა.

ჯაფრიამ დაიღრინა, მერე ერთბაშად მოსწვდა ადგილს, ურჯულოს კისერზე შეაფრინდა, ძირს დასცა და ვიდრე მიუძველვებოდნენ, ისე დაგლიჯა, თანამომეგობა ფესზე ძლივს წამოაყენეს.

ძალი მოკლეა. ბიჭი კი, ნაცემი და დანქმინილი, დითანხმეს—საქონლის ბინებისკენ გასძლივდობათ.

ამასობაში დახეულად კიდევ ერთ ადგილას შეტბორებული ცხვარი საიმედოდ იუზნავდა გოგონას.

მორიანლოს ჩაღურნი ქოხი იღვა, ავღრინს დროს მწვემების თაუშესაფარი. იქ წოდან ბიჭმა ცეცხლი დაანთა და ზატარა

მწვემს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კადვივებული ნაკვერცხალი ისევ იქნებოდა ნაცარში შენახული.

ავახაგებმა წინ გაიღვეს ბიჭი, თვითონ კი ცხენდაცხენ უკან მიჰყვებოდნენ. როცა ქოხს გაუსწორდნენ, მწვემმა შიგ შეხვდა ითხავა, გუდა დამჩნაო. მოძალადენი ჯერ შეუკამანდნენ, მაგრამ ვერც საეჭვო რამ დაინახეს ბიჭის მოთხოვნაში და შეუშვეს.

ქოხში ნაკვერცხალი ჯერ ისევ ღვივოდა, ზატარა მწვემსმა ჩაღებულა დაჯარა და სული შეუბურა, ცეცხლი მაშინვე აბრიალდა, მერე ის აბრიალებული ჩაღებულა ბიჭმა ჩაღურ ქოხს შეუნთა და ვიდრე ეჩნალებო გონს მოვიდოდნენ, იმისმა ალმა მთელი შირაქისა და ალაზნის ველები გადაანათა. იმ დროში ცეცხლს ანთებდნენ სოღმე და ერთი კუთხე—მეორეს ასე ატუობინებდა მთახლოებულ საფრთხეს, ტრის შემოხვევს.

გონზე მოხულება მოძალადეებმა მაძაცი ქართველი ბიჭი ხმლით ავაყეს და მერე ცხენებში გადათელეს, მაგრამ არც მათ დადგათ უკეთესი დღე, იმ აბრიალებულ ცეცხლის ნიძანზე წამომლილმა მაძაცმა ქიხიველებმა ურჯულოებს გზა მოუჭრეს და მომხდურთავან ამბის მიტანაც აღარ გაუშვიათ.

როცა ეოველივე მიწუნარდა, ცხვრის ფარმაში შეძალული გოგონა გამოვიდა, სინელებში, როგორც იქნა, მოძებნა უწვალად აჩენილი ზატარა მაძაცი ქართველის ვვამი, ბავშვურად ეამბორა მის სისხლით განბანილ მუბლს და ცრემლთა ნაკადულის ფრეკვით—შირაქის მიწას მიაბარა.

ხალხის გადმოცემით მთელი შირაქი ზატარა მწვემის ბიჭის სისხლითა და უმწყო გოგონას ცრემლით არის განპოხიერებული.



ქიაზაიას ვახუცე

ნელი ღარსაველიძე


თუ ძაფს ობობა შიშინებენს,
 ნემსიულანია—ნემსსაო,
 კუდმაკრატელა—მაკრატელს,
 ფოთოლს ვთხოვ ჭადრის სესაო.
 კაბას დაჭრი და დაფლაშავე,
 თან გამოგუგუნა წელსაო,
 ჭიამაიას ვანუქებ
 შეგ—დაბადების დღეს:ო.

ბეამუსან

შაჰში ავაშიძე

ქოლგას ჰგავს, ტყეში ამოდის,
 ულუფას გვაძლევს სანატრელს,
 მუსიკის ბგერას შეეჭვსეს
 სიტყვის ბოლოში ვამატებთ.
 პირველ ხმოვანს რომ მოვაკლებთ,
 თვითონვე გვეტყვის რაც არის:
 სახლია სავეს სიცოცხლით,
 ცოდნის და სიბრძნის ტაძარი.

თქუსუხი



შეივით ცარიელი უჯრედები ქართული
 კლასიკოსი მწერლების გვარებით ისე, რომ
 ფერად სვეტში მიიღოთ ცნობილი სვანი ექი-
 მი ქალს, დეპუტატის, სოციალისტური შრო-
 მის გმირის სახელი და გვარი.
 შეადგინა მესტიის რაიონის, სოფ. იცე-
 რის საშ. სკოლის მოსწავლემ ალუდა გურ-
 ჩიანმა.

თხუანია მაიკო

შალვა ჭოლიკაური

დღეს მაიკომ შოიჭანა
წიგნები და რვეულები
მელნით დასწრილ-დათხუნული
და უღებშემოსეულები.
ვინც ზარმაცობს, უსულგულო—
ფსრეწავს რვეულს, დასწრის წიგნებს,
სსყას სომ გზას ვერ გაუგებლავს,
თავის გზასაც ვერ გაიგნებს.



მეც სკოლაში ვივლი მალე

იპირი ხარაქი


მეც სკოლაში ვივლი მალე,
ახალ ჩანთას ვწმენდ და ვუვლი...
მანამდე კი ნანატრ სკოლას
ავუვლი და ჩამოვუვლი...



შეადგინა გურჯაანის რაიონის, სოფ. ვე-
ლისციხის სკოლის მოსწავლემ ანა აბელა-
შვილმა.

ბ. 85/130

გვერდნაწილი
76055



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

ზუსტად რომელი საათია?
თქვი, დღელამეში წუთის მაჩვენებელი ისარი რამდენჯერ ასწრებს საათის მაჩვენებელ ისარს.

ბიზნის რედაქტორი გუბარან მატუაშვილი

სარედაქციო კოდეფა: ანსორ აბულაშვილი (პ/მგ. მღვიანო), ელზარდ აბოშაძე, კუპური გოგიბაშვილი, ლილა ირაძე, მავალა მგვილიშვილი, ჯიშუარ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იოსებ ძეგრაძე, რობერტ ლარიაშვილი, გივი ძვალაძე.

საქ. ალექ. ცაიხაძე გ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფროსი.
ელაზე ნახატი მანანა შორაძე

ტექნიკური მხარე

გამომცემის მხარე

საქ. კვ. ცაიხის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მღვიანო — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—83-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამღვიანოს — 93-98-16.

გალეფა ასაწობად 18/VI-79 წ., ხელმოწერილია დასაბუქდათ 20/VII-79 წ., ქალაქის ზონა 80X90, ფიხ. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შტ. № 1784 „Диа“ № 9, на грузинском языке. ფასი 20 კაპ.